



ეკონომიკა

ფულადი გზავნილები: 2023 წლის მარტში ფულადი გზავნილები წლიურად 127.1%-ით გაიზარდა და 438.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა თვის 103.0%-იანი ზრდის შემდეგ. ფულადი გზავნილები წლიურად გაიზარდა შემდეგი ძირითადი დონორი ქვეყნებიდან: რუსეთი (+728.0%, მთლიანის 51.0%), იტალია (+20.4%), აშშ (+40.4%), საბერძნეთი (+3.3%), ისრაელი (+10.5%), გერმანია (+55.2%), ყაზახეთი (+130.8%) და თურქეთი (22.1%). ჯამურად, 2023 წლის პირველ კვარტალში ფულადი გზავნილები წლიურად 130.3%-ით გაიზარდა და 1.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

მწარმოებელთა ფასების ინდექსი: საქსტატის მონაცემებით, მწარმოებელთა ფასების ინდექსი წლიურად 5.2%-ით შემცირდა 2023 წლის მარტში, წინა თვეში დაფიქსირებული 1.0%-იანი კლების შემდეგ. ფასების შემცირებაზე ძირითადი ზეგავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ სექციებში: დამამუშავებელი მრეწველობა (-3.2% წ/წ) და სამთომომპოვებითი მრეწველობა (-22.5% წ/წ).

საგარეო ვაჭრობა: საქსტატის მონაცემებით, 2023 წლის მარტში საქონლის ექსპორტის წლიური ზრდა 32.9%-მდე დაჩქარდა და 546.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა თვის 6.3%-იანი ზრდის შემდეგ. მსგავსად ექსპორტისა, იმპორტიც მნიშვნელოვნად 33.4%-ით გაიზარდა 1.2 მლრდ აშშ დოლარამდე, წინა თვეში დაფიქსირებული 4.5%-იანი კლების შემდეგ. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 33.7%-ით გაიზარდა 688.3 მლნ აშშ დოლარამდე, წინა თვის 12.3%-იანი კლების შემდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპორტის და იმპორტის ზრდის მაღალი ტემპები ძლიერ საგარეო და საშინაო მოთხოვნაზე მიუთითებს.

2023 წლის მარტში მანქანები (+683.6% წ/წ), სპილენძი (-45.7% წ/წ), სასუქები (+86.5% წ/წ), ღვინო (+74.4% წ/წ) და სპირტიანი სასმელები (+187.5% წ/წ) იყო ტოპ-5 ექსპორტირებული საქონელი. ამასთან, ექსპორტის 17.9% ევროკავშირზე მოდიოდა (+97.9% წ/წ), 59.1% დსთ-ზე (+205.7% წ/წ) და 23.0% სხვა ქვეყნებზე (-51.0% წ/წ).

2023 წლის თებერვალში ტოპ-5 იმპორტი იყო მანქანები (+82.8% წ/წ), ნავთობი (+13.4% წ/წ), გაზი (-24.2% წ/წ), მედიკამენტები (+33.0% წ/წ) და ტელეფონები (+112.0% წ/წ).

ჯამურად, 2023 წლის პირველ კვარტალში, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 18.2%-ით გაიზარდა და 1.9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რადგან ექსპორტი 24.7%-ით გაიზარდა 1.5 მლრდ აშშ დოლარამდე, ხოლო იმპორტი 21.0%-ით გაიზარდა 3.3 მლრდ აშშ დოლარამდე.


ეკონომიკური ინდიკატორები

	2021	2022
რეალური მშპ-ს ზრდა	10.5%	10.1%
მშპ ერთ სულზე (ppp)	16,997	20,244
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	5,023	6,672
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	13.9%	9.8%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	4.3	4.9
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	10.4%	4.1%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	6.1%	3.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	49.7%	39.8%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Baa2	


წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თაგარტი

*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

ფულადი გზავნილები საქართველოში



მწარმოებელთა ფასების ინდექსი, წლიური %-ლი ცვლილება





ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2023 წლის 18 აპრილს 10-წლიანი 60 მლნ ლარის (23.8 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 1.5-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.0343პ-ით გაიზარდა და 8.736% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2023 წლის 25 აპრილს, სადაც 5-წლიანი 90 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები,
2023 წელი

მადიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი
6-თვე	80	160	420
1-წელი	80	160	
2-წელი	171	320	
5-წელი	294	810	6,424
10-წელი	240	780	
სულ	865	2,230	6,844


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
* 2023 წლის მარტის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სეზ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ვერობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ვერობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 5.64%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 100.07 (+0.02% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 97.70 (-0.28% წინა კვირასთან შედარებით), 8.91%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 85.52 ფასად (-0.35% წინა კვირასთან შედარებით), 7.44%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 90.32 (-0.01% წინა კვირასთან შედარებით), 6.36%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ვერობლიგაციები

გამომცემი	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB-/BB/Ba2	90.32	6.36	254.87
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/BB/-	85.52	7.44	396.18
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/BB/Ba2	100.07	5.64	n/a
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/B-	98.69	12.44	756.68
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-/B+/B1	97.70	8.91	391.00
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-27	B+/B1	98.12	8.97	528.74
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/BB/Ba2	98.28	7.33	256.12
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/B-	95.75	13.20	953.95

ადგილობრივი ობლიგაციები


GLC	USD	12	5.75%	Jul-23	-/-/-	99.94	5.88	n/a
GLC	EUR	3	4.75%	Jul-23	-/-/-	99.99	4.75	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-23	-/-/-	99.59	6.75	n/a
Lisi Lake Development	USD	10	8.50%	Dec-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
IG Development	USD	15	6.75%	Jan-24	-/-/-	98.23	8.90	n/a
IG Development	USD	15	8.50%	Jul-24	-/-/-	99.80	8.65	n/a
Georgia Real Estate	USD	35	8.50%	Oct-24	-/-/-	99.78	8.65	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	15.50%	Dec-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
Evex Hospitals	GEL	50	13.60%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	13.62%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
Geo Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-27	-/-/-	99.04	7.25	-/-/-

წყარო: Bloomberg



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 28.40 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.97% წინა კვირასთან შედარებით და +10.08% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 440 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 27.60 - 29.05 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 103 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 22.25 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.23% წინა კვირასთან შედარებით და -1.11% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 295 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 21.90 - 22.75 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 53 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 7.85 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.03% წინა კვირასთან შედარებით და +4.53% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 421 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 7.77 - 8.01 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 190 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ.	ნ თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2022	2023F	2024F	2022	2023F	2024F
Bank of Georgia	BGEO	GBP	28.40	1,327	40.2%	122.6%	9.0%	2.74x	4.06x	3.57x	0.90x	0.83x	0.78x
TBC	TBC	GBP	22.25	1,224	20.3%	71.2%	-2.0%	4.10x	3.73x	3.31x	1.04x	0.85x	0.70x
Halyk Bank	HSBK	USD	11.92	3,251	9.4%	12.7%	7.4%	2.69x	2.72x	2.55x	0.78x	0.68x	0.56x
Akbank	AKBNK	TRY	17.70	92,040	13.8%	85.7%	-9.5%	1.40x	2.22x	2.08x	0.55x	0.52x	0.43x
Garanti	GARAN	TRY	28.14	118,188	12.7%	94.2%	-6.3%	1.91x	2.62x	2.26x	0.73x	0.59x	0.46x
Isbank	ISCTR	TRY	11.86	118,600	20.7%	140.0%	-7.1%	0.84x	2.47x	2.18x	0.60x	0.53x	0.43x
PKO	PKO	PLN	32.58	40,725	34.4%	-16.2%	7.6%	10.98x	6.18x	6.45x	1.03x	1.01x	0.93x
PEKAO	PEO	PLN	97.44	25,575	35.3%	-13.2%	12.6%	na	5.61x	6.20x	na	0.98x	0.90x
Millennium	MIL	PLN	5.03	6,102	41.8%	-18.2%	9.8%	na	2.45x	2.64x	1.04x	0.99x	0.88x
Mbank	MBK	PLN	366.40	15,548	59.6%	8.9%	23.8%	na	7.98x	5.65x	1.10x	1.05x	0.88x
BRD	BRD	RON	12.74	8,879	12.1%	-26.8%	-2.0%	6.81x	6.17x	6.15x	1.31x	1.08x	1.05x
Banca Transilvania	TLV	RON	19.50	13,799	12.7%	-11.7%	-2.1%	na	5.99x	5.63x	1.60x	1.24x	1.11x
Komerční	KOMB	CZK	758.50	144,152	9.8%	-11.4%	15.8%	8.36x	9.52x	9.34x	1.21x	1.08x	1.04x
Mean								4.42x	4.75x	4.46x	0.99x	0.88x	0.78x
Median								2.74x	4.06x	3.57x	1.04x	0.98x	0.88x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ.	ნ თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2022	2023F	2024F	2022	2023F	2024F
Georgia Capital	CGEO	GBP	7.85	351	24.4%	28.7%	7.5%	na	na	na	0.38x	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	12.05	438	-5.1%	-11.3%	-3.6%	18.33x	na	na	0.99x	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	40.52	82,677	20.7%	95.0%	-10.1%	1.77x	2.12x	1.72x	0.77x	0.65x	0.48x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	28.05	527	20.9%	-5.4%	0.5%	na	6.59x	5.18x	1.00x	0.81x	0.73x
Eurazeo	RF	EUR	67.05	5,312	23.3%	-15.6%	15.4%	8.89x	9.78x	8.57x	0.78x	0.71x	0.68x
Carlyle Group	CG	USD	29.95	10,844	13.4%	-27.8%	0.4%	8.50x	8.45x	6.52x	1.70x	2.05x	1.63x
Wendel SE	MF	EUR	100.50	4,463	31.0%	3.7%	15.3%	6.63x	8.19x	8.07x	na	1.38x	1.24x
HgCapital Trust	HGT	GBP	3.37	1,543	-1.6%	-25.8%	-3.9%	na	na	na	na	na	na
NB Private Equity Partners	NBPE	GBP	15.00	654	-5.7%	-6.3%	-6.3%	na	na	na	na	na	na
Oakley Capital Investments	OCI	GBP	4.58	814	27.2%	11.2%	9.2%	na	na	na	na	na	na
Princess Private Equity	PEY	EUR	9.42	651	-2.7%	-26.4%	11.6%	na	na	na	0.65x	na	na
Symphony International Holding	SIHL	USD	0.41	210	0.2%	-21.2%	-8.5%	na	na	na	0.47x	na	na
Mean								8.82x	7.03x	6.01x	0.84x	1.12x	0.95x
Median								8.50x	8.19x	6.52x	0.78x	0.81x	0.73x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ციკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როგა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტთან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარულის ან მომავლის მიმართ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: researcht@gt.ge